საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი მ. დ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.11.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 140/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ /სიითი №0197/

საჩივრისმოთხოვნა: ადვოკატ გ. გ.-ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. გ.-ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატი მ. დ. 2020 წლის 23 იანვარს გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის დასაწყისიდან სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე იცავდა ს. მ.-ს მოწინააღმდეგე მხარეების კ. ჩ.-ისა და ჯ. გ.-ის წინააღმდეგ. კ. ჩ.-მ საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით აიყვანა ადვოკატი გ. გ.-ბ., რის შემდეგაც ადვოკატი დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და მოსთხოვა სადავო ავტომანქანის გადაფორმება. მ. დ.-ს სურდა გ. გ.-ბ.-სთან შეხვედრა და მოლაპარაკება, თუმცა ადვოკატმა გამოხატა აგრესია და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა შემდეგი სახით - „შენ ხარ არაკვალიფიციური ადვოკატი, არ გესმის საქმე, შეგყავს შენი კლიენტი შეცდომაში და სწორედ შენი უცოდინრობის გამო აზარალებ, როგორც ჩემს მხარეს ისე ჩემს კლიენტს, შენ თაღლითობ და საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით აფუჭებ, როგორც შენი ისე ჩემი კლიენტის საქმეს“.

ადვოკატმა მ. დ.-მ სთხოვა ადვოკატ გ. გ.-ბ.-ს, რომ თავი შეეკავებინა ასეთი შეურაცხყოფებისაგან და დაეცვა კოლეგიალობის პინციპი.

1.3 ადვოკატმა მ. დ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომლის საფუძველზეც მოპასუხე მხარეს ჩამოერთვა მანქანა და გადაყვანილი იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ავტოსადგომზე. ადვოკატმა მ. დ.-მ არ იცოდა მოპასუხე მხარის ადგილსამყოფელი, ხოლო ინტერნეტის საშუალებით მოძიებულ მისამართზე სარჩელი ვერ ჩააბარა. სარჩელის უზუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უზრუნველყო მოპასუხე მხარის ადგილსამყოფლის დადგენა და სწორედ ამის შემდეგ გახდა მოპასუხე მხარისთვის ცნობილი სარჩელის არსებობის თაობაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოპასუხე მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელსა და შეგებებულ სარჩელში ძირითადი აქცენტები გაკეთებული იყო ადვოკატ მ. დ.-ზე და მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე. კერძოდ, მითითებული იყო, რომ მ. დ.-მ შეცდომაში შეიყვანა მოსარჩელე მხარე და ადვოკატმა მ. დ.-მ განზრახ მიუთითა არასწორად მოპასუხე მხარის მისამართი, რადგან სასამართლოს გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასევე, ადვოკატმა გ. გ.-ბ.-მ ადვოკატ მ. დ.-ს შეურაცხყოფა მიაყენა 2019 წლის 08 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზეც. სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ კი ადვოკატ მ. დ.-ს შეურაცხყოფა მიაყენა გ. გ.-ბ.-ის კლიენტმა კ. ჩ.-მ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი გ. გ.-ბ. არ უფრთხილდება კოლეგის ღირსებას და დაცვის სტრატეგიას კოლეგის შეურაცხყოფაზე აგებს, რის გამოც მოითოვს კანონით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენაბას.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2019 წლის 19 დეკემბერს ადვოკატმა გ. გ.-ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ ადვოკატი მ. დ. გაიცნო კ. ჩ.-ისა და მ. მ.-ის დავასთან დაკავშირებით, ხოლო მანამდე მას არასოდეს შეხვედრია.

2.2 ადვოკატ გ. გ.-ბ.-სთვის კ. ჩ.-ისგან ცნობილი იყო, რომ ადვოკატი მ. დ. ურეკავდა მას და მისი ოჯახის წევრებს, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდა ავტომანქანის წართმევით, რომელიც კ. ჩ.-მ შეიძინა 2018 წლის დეკემბერში მ. მ.-ისაგან. კ. ჩ. არის ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მეზობელი და შეესწრო ფაქტს, როდესაც კ. ჩ.-ის და ლ. ჩ. ტელეფონით ესაუბრებოდა ადვოკატ მ. დ.-ს და თან ტიროდა. როგორც გაირკვა, ადვოკატმა მ. დ.-მ მას, როგორც სიმსივნით დაავადებულს მიმართა - „შენ რა უნდა გელაპარაკო ავადმყოფი ხარ, დღეს თუ ხვალ აღარ იქნები და პირადად შენი ძმა დამალაპარაკოსო“. ამ დროს ადვოკატმა გ. გ.-ბ.-მ გამოართვა ლ. ჩ.-ს ტელეფონი და მიმართა ადვოკატ მ. დ.-ს, რომ სამართლებრივად დაეწყო დავა კ. ჩ.-ის მიმართ. მალევე, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა სადავო ავტომანქანა გადაიყვანა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადგომზე. კ. ჩ.-ის თხოვნით, სამოქალაქო და სისხლის სამართლის დავებში ჩაერთო ადვოკატი გ. გ.-ბ..

2.3 ადვოკატის განმარტებით, მის კლიენტს არცერთხელ ჩაბარდა სასამართლოს გზავნილები და როგორც საქართველოს ფოსტაში გაარკვია, ყველა გზავნილის მისამართი არასწორად იყო მითითებული. ადვოკატმა მიმართა სასამართლოს და აუხსნა გზავნილის ჩაუბარებლობის

მიზეზები და ხელზე ჩაიბარა სარჩელი. არასწორი მისამართი იყო მითითებული სარჩელშიც. ადვოკატმა გ. გ.-ბ.-მ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, სადაც აღნიშნა თუ რისთვის იყო განპირობებული არასწორი მისამართების მითითება, მაშინ როცა აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის სწორი მისამართი იყო მითითებული.

2.4 ადვოკატი გ. გ.-ბ. აღნიშნავს, რომ მას ადვოკატ მ. დ.-ისთვის არასოდეს მიუყენებია შეურაცხყოფა. ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ ვერც მისი კლიენტი მიაყენებდა ადვოკატ მ. დ.-ს შეურაცხყოფას, ვინაიდან ის არცერთ პროცესს არ ესწრებოდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი გ. გ.-ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ადვოკატმა მ. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 19 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. შესაბამისად, დაცულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ვადა.

4. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა გ. გ.-ბ.-მ შეურაცხყოფა მიაყენა მას, როგორც სატელეფონო საუბრის დროს, ასევე შესაგებლში, შეგებებულ სარჩელსა და 2019 წლის 08 ნოემბერს გამართულ სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> *,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსებები და დაიცვას პროფესიული ღირებულებები."*

5.3 ადვოკატი კოლეგებთან კომუნიკაციის დროს უნდა ავლენდეს ურთიერთპატივისცემას და ასეთი ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს თუნდაც მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობს საპროცესო დაპირისპირება. ადვოკატის კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც შელახავს კოლეგის პატივს და ღირსებას და ეჭქვეშ დააყენებს ადვოკატის პროფესიის რეპუტაციას.

5.4 ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვა შესაძლებელია კონკურენციაში მოვიდეს სხვა ისეთ მნიშვნელოვან ვალდებულებასთან, როგორიცაა კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი. კოლეგიალობის პრინციპის დარღვევაზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაც, რომლითაც ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, აზრის თავისუფლება გარანტირებულია - ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. 24-ე მუხლის პირველი პუნქტით კი, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

5.5 გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. თუმცა, კომისია აფასებს ადვოკატის მიერ მეორე ადვოკატის მიმართ წარმოთქმული ფრაზის ეთიკურობას, რომელიც აუცილებელია შეფასებული იქნეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონთან ერთად, რათა გაიმიჯნოს განცხადება შემცველია ფაქტის თუ აზრის. ამავე კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

5.6 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება კოლეგა ადვოკატის მიერ მისი მისამართით წარმოთქმულ წინადადებებს, რომლებსაც ადვოკატი მ. დ. მისი ღირსების შემლახავად მიიჩნევს. თუმცა ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის პოზიციით, მის მიერ გამოთქმული აზრი გამომდინარეობს კლიენტის ინტერესების დაცვიდან.

5.7 საპროცესო კოლეგია აფასებს თითოეულ სადავოდ გამხდარ წინადადებას გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში, რომელიც ადვოკატის ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე მეტად ვიწროა. ადვოკატ მ. დ.-ის მითითება, რომლის მიხედვით ადვოკატმა გ. გ.-ბ.-მ შეურაცხყოფა მიაყენა მას სატელეფონო კომუნიკაციის დროს, არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით, ასევე ამ პრეტენზიას უარყოფს ადვოკატი გ. გ.-ბ.. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ვერ შეაფასებს ადვოკატ მ. დ.-ის მიერ მითითებულ სადავო წინადადებებს, რომლებიც მისი განმარტებით სატელეფონო საუბრის დროს იქნა გაჟღერებული. საპროცესო კოლეგია შეაფასებს სადავო ფრაზებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების - ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიერ შედგენილი შესაგებლის, შეგებებული სარჩელისა და 2019 წლის 08 ნოემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე.

5.8 ადვოკატმა მ. დ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიერ შედგენილი შესაგებელი და შეგებებული სარჩელი, სადაც მიუთითა იმ კონკრეტულ წინადადებებზე, რომლებიც მისთვის მიუღებელია. საპროცესო კოლეგიამ ცალ-ცალკე შეაფასა შეგებებულ სარჩელში მითითებული სადავო წინადადებები. კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი გ. გ.-ბ. არ არღვევს კოლეგიალობის პრინციპს შემდეგ წინადადებებში - „საქმე იმაში გახლავთ, რომ სოფიკო მაჭავარიანმა დაზიანებული ავტომანქანის ნაცვლად მიითვისა გაკეთებული მანქანა. ამ

ყველაფერში ლომის წვლილი მიუძღვის ადვოკატს - მ. დ.-ს, რომელმაც არა მარტო აზრი შეაცვლევინა ს. მ.-ს, რითაც ფაქტიურად საგამოძიებო ორგანოებში დაუმძიმა ვითარება, არამედ კვლავ რაღაც მაქინაციებით სცადა, რომ თქვენ გამოგეტანათ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სარჩელი თვითონ თქვენც გამოგიგზავნათ არასწორ მისამართზე". საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნული წინადადებები გადმოცემულია ნეგატიური კონტექსტით, მაგრამ წინადადებები - „ლომის წვლილი მიუძღვის" და „რაღაც მაქინაციებით სცადა" არ სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ვინაიდან ისინი გადმოცემულია აზრის ფორმით და არ შეიცავს უხამსი ან/და ძალადობრივი ენით გადმოცემულ ფრაზებს. ასევე ასეთ ფრაზებს არ შიცავს შესაგებელში მითითებული წინადადებები - „შეთანხმების შემდეგ მოულოდნელად უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მან აიყვანა ადვოკატი და მასთან კონსულტაციას გაივლიდა, რის შემდეგაც მკაცრი უარი განაცხადა და აღნიშნა ის, რაც სარჩელში აქვს მითითებული"; „ადვოკატი გაეხვა მათ მიერ დაგეგმილ სპექტაკლში და მანამდე ხომ დათანხმდა გადაფორმებაზე, ახლა უარი განუცხადა"; „ახლა უკვე ცხადზე ცხადი გახდა, რომ ს. მ.-ის ადვოკატმა შეაგულიანა და მოიფიქრეს არარსებული ფაქტობრივი გარემოებები გადმოეცათ იმ სიყალბეზე"; „ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მხარეებს შორის არსებული დავის თაობაზე, შეგნებულად, არასწორად მიუთითეს კ. ჩ.-ის მისამართი".

5.9 რაც შეეხება ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიერ შესაგებელში მითითებულ წინადადებას -„აღნიშნული გარემოება ცხადყოფს მათ მიერ კ. ჩ.-ის მისამართით განხორციელებულ კიდევ ერთ თაღლითობის კლასიკურ მაგალითს", უნდა გაირკვეს მასში მოცემული ფრაზები რამდენად ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში. კერძოდ, სიტყვა „თაღლითი" გულისხმობს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის მქონე ფაქტზე მითითებას, რომლის გაჟღერების დროს განმცხადებელი უნდა მიუთითებდეს მის ნამდვილობაზე და ამას უნდა ადასტურებდეს მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი გ. გ.-ბ. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მიუთითებს მტკიცებას დაქვემდებარებულ გარემოებებზე, რომლის მიხედვით ადვოკატმა მ. დ.-მ და მისმა კლიენტმა შეგნებულად მიუთითეს მოპასუხე მხარის არასწორი მისამართი სარჩელში და ამ მოქმედებას აფასებს „თაღლითობის კლასიკურ მაგალითად". აღსანიშნავია, რომ სადავო ფრაზა არ არის მიმართული კონკრეტულად ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ, რადგან არ არის მითითებული მ. დ.-ის სახელი და მითითება გაკეთებულია ერთზე მეტი პირის მიმართ. თუმცა, წინადადებათა კონტექსტიდან გამომდინარე, სადავო ფრაზები ეხება ადვოკატ მ. დ.-სა და მის კლიენტს და ადვოკატი გ. გ.-ბ. მათ ერთობლივ მოქმედებებს აფასებს „თაღლითობის კლასიკურ მაგალითად". საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ სადავო წინადადება შინაარსობრივი თვალსაზრით გადმოცემულია აზრის სახით და ის შეიცავს შეფასებით მსჯელობას. მართალია მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მსჯელობა არის გადაჭარბებული, მაგრამ ის ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ უფლებაში, რადგან ამ ქმედების „თაღლითობის კლასიკურ მაგალითად" შეფასება წარმოადგენს ადვოკატის აღქმას და ის ვერ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა განმარტებით. ამასთანავე, „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც

მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზოგადოებისთვის შეუცვლელი წყაროა" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" №11/6/561,568; 30.09.2016 წელი).

5.10 საპროცესო კოლეგია ასევე გაეცნო საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 08 ნოემბერს გამართულ სხდომის ოქმს, სადაც ადვოკატი გ. გ.-ბ. ადვოკატ მ. დ.-ის მისამართით უთითებს შემდეგ სადავო ფრაზას: „რატომღაც არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს თავად ადვოკატი, თორემ მე თავად ს. მ.-თან იმდენი საქმე არ მაქვს, რამდენადაც ადვოკატთან მაქვს პრობლემა." საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ განცხადებას არ შეუძლია დააზიანოს ადვოკატ მ. დ.-ის პატივი და ღირსება, რადგან ის გამოხატავს ადვოკატის აზრს და არ არის გადმოცემული უხამსი ენით. აგრეთვე, ადვოკატები სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებით სასამართლოს სხდომათა დარბაზში ადვოკატებს შორის დაძაბული შეპაექრების დროს გამოთქმული არგუმენტების გაჟღერებისას, რაც ემსახურება კლიენტის საქმეზე სამართლიან განხილვას.

5.11 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარის ადვოკატმა, გ. გ.-ბ.-მ ადვოკატ მ. დ.-ის პატივი და ღირსება შელახა. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 ეთიკის კომისია მოუწოდებს ადვოკატებს დაიცვან კოლეგიალობის პრინციპი და თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისგან, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კოლეგა ადვოკატის გაღიზიანება. კოლეგისადმი ღირსეული დამოკიდებულება და პატივისცემა ხელს უწყობს ადვოკატთა შორის თანამშრომლობასა და ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის მოპოვებას.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

IIIსარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №140/19 ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიისწევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/